

ცნობა ჟურნალის "ANNALS OF BIOMEDICAL RESEARCH AND EDUCATION" შესახებ

1978 წელს ვანკუვერში სამედიცინო ჟურნალების რედაქტორთა ჯგუფის შეხვედრაზე დაისვა საკითხი ერთიანი მოთხოვნების შესახებ ბიოსამედიცინო ჟურნალებში წარდგენილი ხელნაწერებისადმი. მოგვიანებით ვანკუვერის ჯგუფი გარდაიქმნა სამედიცინო ჟურნალების რედაქტორების საერთაშორისო კომიტეტად.

1997 წელს კომიტეტის მიერ მოწოდებული იქნა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტი - „ერთიანი მოთხოვნები ხელნაწერთა მიმართ ბიოსამედიცინო ჟურნალებში პუბლიკაციისათვის“, რომელიც საინსტრუქციო დანიშნულებისაა მსოფლიოს 500-ზე მეტი ავტორიტეტული სამედიცინო სამეცნიერო გამოცემისათვის; თუმცა მისაღებია ცვლილებები ცალკეულ ჟურნალსა თუ კრებულში პუბლიკაციის თავისებურებათა გათვალისწინებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო განყოფილების ინიციატივით შეიქმნა ყოველკვარტალური ბეჭდვითი სამეცნიერო ჟურნალი "ANNALS OF BIOMEDICAL RESEARCH AND EDUCATION" ინტერნეტში ელექტრონული ვერსიით მისამართზე: <http://www.tsmu.edu/ABRE>. ჟურნალში გამოსაქვეყნებელ პუბლიკაციებზე ვრცელდება სამედიცინო ჟურნალების რედაქტორების საერთაშორისო კომიტეტის ძირითადი მოთხოვნები (International committee of medical journal editors. Uniform requirements for manuscripts submitted to biomedical journals. *Annals of Internal Medicine* 1997; 126:36—47. <http://www.mediasphera.ru/recom/recomen.htm>

ჟურნალი "Annals of Biomedical Research and Education" შეგანილია საერთაშორისო კატალოგებში EUCLID და GALILEO, რომელთა მისამართია: www.emory.edu/LIBRARIES სტატიის სრული ტექსტის გასანობად საჭიროა GALILEO-ში შესვლა, რისთვისაც აუცილებელია გაწვევრიანება და პირადი ნომრის მიღება.

ჟურნალი შეგანილია Yahoo! სერვერის საძიებელში, სადაც იგი შესაძლებელია მოიძებნოს როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გვერდში (TSMU), ისე პიროვნული საძიებლითაც (მაგ. Kipiani).

ტექნიკურ მოთხოვნათა აღწერა

- მასალები პუბლიკაციისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს დისკეტაზე ინგლისურ და ქართულ ენებზე შემდეგი თანმიმდევრობით: სატიტულო გვერდი, რეზიუმე, საკვანძო სიტყვები, ტექსტი, მაღლიერების გამოხატვა (სურვილისამებრ), ლიტერატურის ნუსხა, ცხრილები, სურათები თავისი მინაწერით.
- სურათების და უჩარჩო ფოტოების ზომები არ უნდა აღემატებოდეს 203X254 მმ-ს.
- ორიგინალურ სტატიებში კვლევის აღწერა ფორმდება განყოფილებებად: „შესავალი“, „მეთოდები“, „შედეგები“ და „განსჯა“. სხვა ტიპის სტატიებში ამგვარი გაფორმება სავალდებულო არ არის.
- ჩანაწერი შეტანილი უნდა იყოს სათანადოდ დაცულ 1.44 MB-იან დისკეტაზე, რომელზეც ჩანაწერილია მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომი სტანდარტულ ფორმაში (უმჯობესია Word 97, 2000 ან rtf ფაილი). ქართული ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს სტანდარტული შრიფტით (ფონტით, ხოლო ინგლისური - ფონტით "Times New Roman". ზომა: 12, ინტერვალი 1,5. დისკეტა უნდა იყოს გარკვევით მარკირებული: ავტორების გვარები, ფაილ(ებ)ის სახელი, ფაილის ფორმატი
- დისკეტაზე ჩანაწერს თან უნდა ერთვოდეს ამობეჭდილი ვარიანტებით (2 ეგზემპლარად).
- ფაილს უნდა მიეცეს გასაგები სახელწოდება და ფორმატთან ერთად მიეთითოს დისკეტის თავსართზე.
- ყველა წარმოდგენილი მასალის ასლი უნდა ინახებოდეს ავტორთან.

სატიტულო გვერდი

უნდა შეიცავდეს:

- სტატიის დასახელებას, რომელიც უნდა იყოს მოკლე, მაგრამ ინფორმაციული;
- ავტორის (-ების) გვარს და ინიციალებს, სამეცნიერო ხარისხის (წოდების) მითითებით.
- კათედრის, საუნივერსიტეტო კლინიკის, ლაბორატორიის ან თსსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების დასახელებას, სადაც შესრულდა წარმოდგენილი ნაშრომი;
- ავტორის (-ების) გვარს, მისამართს, ტელეფონის ნომერს (E.mail-ს და Fax-ს).
- იმ დაფინანსების წყაროების მითითებას, რაც დაეხმარა ავტორს აღჭურვილობის, სამკურნალო-საშუალებების და სხვ. შექმნაში;
- სტატიის სათაურის შემოკლებულ სახელწოდებას (კოლონტიტულს), მოცულობით არაუმეტეს 40 ნიშნისა (ითვლება ასოები და შუალედებიც), რომელიც მოთავსდება ყოველი გვერდის ბოლოს.

ავტორობა

ავტორთა თანმიმდევრობას ადგენენ თვით ავტორები. მათი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 5-ს ყველა პირი, რომელიც აღნიშნულია როგორც „ავტორი“, უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად კრიტერიუმებს:

მისი მონაწილეობა შრომაში საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ავტორმა თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა სტატიის შინაარსისათვის.

სტატიის სტრუქტურა

შესავალი. ჩამოყალიბებული უნდა იყოს სტატიის მიზანი, დასაბუთებული - კვლევის ან დაკვირვების წარმოების აუცილებლობა.

მეთოდები. მკაფიოდ და დეტალურად უნდა იყოს აღწერილი, ავადმყოფების დაკვირვების ან ლაბორატორიულ ცხოველების ექსპერიმენტებისთვის (მათ შორის საკონტროლო ჯგუფისთვის) შერჩევის პრინციპი; მითითებული უნდა იყოს მათი ასაკი, სქესი, სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები.

აღწერილი უნდა იყოს მეთოდები, აპარატურა (ფრჩხილებში მიეთითება მწარმოებელი და მისი მისამართი - ქვეყანა ან ქალაქი) და ყველა პროცედურა დეტალებში, რაც საკმარისი იქნება, რათა სხვა მკვლევარებმა შეძლონ კვლევის შედეგების კვლავწარმოება. ავტორი უნდა დაეყრდნოს საყოველთაოდ მიღებულ მეთოდებს, მათ შორის სტატისტიკურს (იხ. ქვევით); მოკლედ აღწეროს უკვე გამოქვეყნებული, მაგრამ ჯერ კიდევ არასათანადოდ ცნობილი მეთოდები; აღწეროს ახალი და მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული მეთოდები, დაასაბუთოს მათი გამოყენება და შეაფასოს შესაძლებლობები. ავტორმა ზუსტად უნდა მიუთითოს ყველა გამოყენებული სამკურნალწამლო პრეპარატი და ქიმიური ნივთიერება, მათი საერთაშორისო დასახელებით, დოზებით და შეყვანის გზებით.

რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევის ჩატარების ცნობაში უნდა იყოს ინფორმაცია კვლევის ყველა ძირითადი ელემენტის შესახებ, ოქმის ჩათვლით (სამიზნე პოპულაცია, მკურნალობის მეთოდები ან ზემოქმედება, გამოსავალი და სტატისტიკური ანალიზის დასაბუთება), მკურნალობის დანიშვნა (რანდომიზების მეთოდები, მკურნალობის ჯგუფების ფორმირების გადაფარვის საშუალებები) და შენიღბვის მეთოდები („ბრმა კონტროლის“ უზრუნველყოფა).

სტატისტიკური დამუშავება. აუცილებელია სტატისტიკური მეთოდების დეტალური აღწერა, მიღებული მონაცემების რაოდენობრივი ანალიზი, განზომილების ცდომილების მაჩვენებლების და სანდოობის ინტერვალების განსაზღვრა, საექსპერიმენტო ობიექტების შერჩევის დასაბუთება, რანდომიზების პროცესის დეტალების და „ბრმა კონტროლის“ განსახორციელებელი მეთოდების აღწერა, შრომაში გამოყენებული კომპიუტერული პროგრამების მითითება და დასაბუთება. შედეგებში, მონაცემთა შეჯამებისას, უნდა აღინიშნოს, რა სტატისტიკური მეთოდები იყო მათი ანალიზისათვის გამოყენებული.

შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს ტექსტში, ცხრილებში და ნახატებზე ლოგიკური თანმიმდევრობით. ტექსტში არ უნდა გაეორდეს მონაცემები ცხრილებიდან და ნახატებიდან.

განსჯა. ამ თავში აღწერილი უნდა იყოს მიღებული შედეგების ანალიზი, მათი შესაძლო გამოყენების სფერო, მათ შორის - შემდგომ გამოკვლევებში, დახასიათებული კვლევის ახალი და მნიშვნელოვანი ასპექტები. მისაღებია ახალი ჰიპოთეზების გამოთქმა, როცა ეს გამართლებულია, მაგრამ გარკვევით მიეთითება, რომ ეს მხოლოდ ჰიპოთეზებია. ამავე თავში შესაძლებელია ჩაერთოს დასაბუთებული რეკომენდაციებიც.

ცხრილები აუცილებლად უნდა დაინომროს. თითოეულ სვეტს ცხრილში უნდა ჰქონდეს მოკლე დასათაურება (შესაძლოა აბრევიატურა). ყველა განმარტება თავსდება შენიშვნებში და არა ცხრილის სახელწოდებაში. უნდა მიეთითოს, რა სტატისტიკური საზომები გამოიყენებოდა მონაცემთა ვარიაციულობის წარმოსადგენად, მაგალითად, სტანდარტული გადახრა ან საშუალო ცდომილება.

ილუსტრაციები (ნახატები). მკაფიოდ შესრულებული ილუსტრაციის ზომები არ უნდა აღემატებოდეს 203X254 მმ-ს (სასურველია იყოს 127X173 მმ). დასახელება და დეტალური აღწერა თავსდება ილუსტრაციის ქვეშ - მინაწერში. ნახატები უნდა დაინომროს.

საზომი ერთეულები. ყველა ჰემატოლოგიური და ბიოქიმიური მაჩვენებელი წარმოდგენილი უნდა იყოს SI სისტემის ერთეულებში. სიგრძის, სიმაღლის, სივანის, მასის და მოცულობის განზომილებები წარმოდგენილი უნდა იყოს მეტრულ ერთეულებში (მეტრი, კილოგრამი, ლიტრი) ან მათ მათედ ნაწილში, ტემპერატურა °C-ში, არტერიული წნევა - ვწყ. სვ. მმ-ით.

შემოკლებები და სიმბოლოები. რეკომენდებულია სარგებლობა მხოლოდ სტანდარტული შემოკლებებით (აბრევიატურებით), რომელთა გამოყენება სტატიის სათაურში და რეზიუმეში დაუშვებელია. სრული ტერმინი წინ უსწრებს ტექსტში შემოკლების პირველად ხმარებას.

შრომის გამოქვეყნების ძირითადი და აუცილებელი პირობა მისი ორიგინალობა და სიახლეა. წარადგენს რა სტატიას, ავტორმა აუცილებლად უნდა აცნობოს რედაქტორს ყველა იმ ადრე გამოქვეყნებული პუბლიკაციის შესახებ, რომლებიც, შესაძლოა, განხილული იქნან, როგორც გამოქვეყნებული პუბლიკაციის იდენტური. ავტორი ვალდებულია განაცხადოს, შეიცავს თუ არა სტატია უკვე გამოქვეყნებულ მასალებს. ამ შემთხვევაში გამოსაქვეყნებელი სტატია უნდა შეიცავდეს მითითებას უკვე გამოქვეყნებულზე. ამგვარი მასალების ასლები თან უნდა ერთვოდეს წარმოდგენილ სტატიას.

თუ გამეორებითი სტატიები წარმოდგენილია პუბლიკაციისათვის დასახელებული დასაბუთების გარეშე, რედაქციას შეუძლია უარი თქვას სტატიის გამოქვეყნებაზე; თუ სტატია უკვე დაიბეჭდა, გამოაქვეყნოს ცნობა, რომ იგი დუბლირებული პუბლიკაცია.

შესაძლო გამეორებითი პუბლიკაციები

- გამეორებითი პუბლიკაციის შემთხვევაში ავტორებს უნდა ჰქონდეთ ორივე ჟურნალის რედაქტორის (ან სარედაქციო კოლეგიის) თანხმობა; სტატიის ჟურნალის (კრებულის) რედაქტორს უნდა გადაეცეს პირველი ვერსიის ასლი ან ხელნაწერი.
- გამეორებითი ვერსია ზუსტად უნდა ასახავდეს მონაცემებს და მათ ინტერპრეტაციას პირველ ვერსიაში.
- გამეორებითი ვერსიის სატიტულო ფურცელზე უნდა იყოს შენიშვნა ან დამოწმება პირველად პუბლიკაციაზე.

განხილვის პროცედურა, სარედაქციო თავისუფლება, რეცენზენტები

რედაქტორი მასალების გაცნობის შემდგომ განსაზღვრავს დამოუკიდებელი რეცენზენტის(-ების) დანიშვნის საკითხს. ეს უკანასკნელი ვალდებულია წარმოუდგინოს რედაქტორს ყველა არგუმენტებული მოსაზრება პუბლიკაციის მიღების (არმიღების) შესახებ. რედაქტორი გააცნობს სტატიის შინაარსს რეცენზიასთან ერთად სარედაქციო კოლეგიის წევრებს. სარედაქციო კოლეგია კი გააცნობს ავტორს იმ შენიშვნებს და არგუმენტებს, რის გამოც სტატია შეიძლება არ გამოქვეყნდეს.

ავადმყოფის უფლებების დაცვა

ავადმყოფის (კანონიერი წარმომადგენლების) ინფორმირებული თანხმობის გარეშე კონფიდენციალობის დარღვევა არ შეიძლება. აკრძალულია ნებისმიერი ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც იძლევა ავადმყოფის იდენტიფიკაციის საშუალებას (წერილობითი აღწერა, ფოტოგრაფიები, წარმოშობა), იმ გამონაკლის შემთხვევათა გარდა, რომლებსაც აქვთ დიდი სამეცნიერო ღირებულება, ავადმყოფი (მისი მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები) კი იძლევიან წერილობით თანხმობას პუბლიკაციაზე.

ავადმყოფის თვალების მფარავი შავი ზოლი ფოტოგრაფიაზე ანონიმურობის არასაკმარისი გარანტიაა. დაუშვებელია მონაცემთა ფალსიფიკაცია ანონიმურობის მისაღწევად.

გამოქვეყნებაზე თანხმობის შემთხვევაში სტატიაში აუცილებლად უნდა იყოს ცნობა ამის შესახებ.

ეთიკური საკითხები

თუ სტატიაში მოყვანილია დაკვირვებები (გამოკვლევები) ადამიანზე, მისათითებელია, რა შესაბამისობაშია ისინი ჰელსინკის 1975 წლის დეკლარაციასა და მის 1983 წლის შესწორებულ ვარიანტთან. ცხოველებზე ექსპერიმენტების აღწერისას ავტორმა უნდა მიუთითოს, შეესაბამება თუ არა პროცედურა საქართველოს სათანადო კანონმდებლობას;

წარმოდგენილი მოთხოვნების მიხედვით შესრულებული პუბლიკაცია და მასთან დაკავშირებული რეკვიზიტები გთხოვთ წარმოადგინოთ საინფორმაციო-ანალიზურ ცენტრში (თსსუ, I სასწავლო კორპუსი, II სართული) ილია რაზმაძესთან ყოველ სამუშაო დღეს 11-დან 16 საათამდე.

სარედაქციო კოლეგია